ფასი გაზეთისა

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერ — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარაიცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, კარანცოვის მეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—6)

ქართული საკვირაო გაზეთი

## „თეატრი“

მომავალ 1890 წლის იანვრის თვიდამ გაზ. „თეატრი“ გამოვა ახალ თანამშრომლების მონაწილეობით. რედაქცია ყოველ გვარ ღონისძიებას მოიხმარს, რომ თავისი გაზეთი გააუმჯობესოს როგორც შინაგანის, აგრეთვე გარეგანის მხრით.

გაზ. „თეატრის“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლით | 5 მან. | თვიურად | 1 მან. |
| ნახევარ წლით | 3 „ | თითო ნომერი | 15 კაპ. |

ხელის მოწერა მიიღება ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Книжный магазинъ Чарквіани, Роману Панцхава.


### წლიური საერთო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 5, დილის 10 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1888 წლის 1-ლ სექტემბრიდგან 1889 წლის 1-ლ სექტემბრამდე.

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზე 1889 — 1890 წლისათვის და

გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.


### ქართული თეატრი

სამშაბათს, 31 ოქტომბერს, ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

გზა-დაკარგულნი ცხოვარნი

(Le pecorelle smarite)

კომედია 4 მოქმედებად, თხზ. ტეობალდო ჯიკონისა.

II

## ოინბაზი

ვოდევილი 1 მოქ., ა. ცაგარლისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, გედევანიშვილი, კანდელაკი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე


ტფილისი, 27 ოქტომბერი

ჩვენს წინა წერილში ვსთქვით, რომ ქართველობა, რაც შესაძლოა, ძლიერ უნდა ეტანებოდეს სკოლებს და სასწავლებლებს ცოდნისა და სწავლა-განათლების კარის გასაღებად, ხოლო ამის სანაცვლოდ იმასა ვხედავთ, რომ აწ არსებულს სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველები თითქმის ყველგან ნაკლებად არიან. ეს ცხადად დაგვანახვა სხვათა შორის ტფილისის რეალურ სასწავლებლის წლიურმა ანგარიშმა.

კვირას, 22 ოქტომბერს, ხსენებულ სასწავლებელში იყო აქტი, ამ აქტზედ წაკითხულ ანგარიშიდამა სჩანს, რომ გასულს წელს ამ სასწავლებელში ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორის ქართველი მხოლოდ 27, მაშინ-როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი—136, გერმანელი—24, პოლშელი—16, თათარი—10, ბერძენი—4 და ებრაელი—3. მოდით და გული ნუ დაგეწვით მწუხარებით ამისთანა ამბის გაგონებისაგან! 358 შეგირდს შორის მარტო 27 ქართველია მაშინ, როდესაც სომეხი 136-ია, რუსი 138-ი და გერმანელი—24! მერე სად? საქართველოს დედა-ქალაქის, საქართველოს შუა-გულის სასწავლებელში!..

ეს ამბავი გულში უფრო მწვავედ ჩააჩნდება ყოველს ჩვენს მოკეთეს, როცა გვეცოდინება ქართველებთან შედარებით ვინ რამდენნი არიან თუნდ, მაგალითად, მარტო ტფილისში. ტფილისი აიწერა 1876 წ. ამ აღწერიდამ სჩანს, რომ რუსები არიან ტფილისში რიცხვით 20,000-მდე ჯარებს გარდა. ამათში 9,000 წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა, იმერ-ამერ ქართველნი—22,000, ამათში მარტო 7,000 წერა-კითხვის მცოდნეა, სომეხი—37,000, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 11,000-ზე მეტია, თათარი—2,000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე მარტო 381, ყიზილბაში—1,700-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 240-ი, გერმანელნი—2,000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნეა—1,500-ი, პოლშელები — 1,500-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე—1,000-ია. ერთს მესამედზედ მეტს ჩვენებურ მკვიდრთა სცოდნიათ რუსული წერა-კითხვაც. ყოველ აქედამ გამოდის, რომ რუსებს თითქმის ნახევარს წილს სცოდნია წერა-კითხვა, ქართველებს თითქმის მესამედ წილსა, სომხებს მესამედზე ცოტა ნაკლებს. ხოლო წერა-კითხვის ცოდნის კვალობაზედ ყველაზე წინ არიან გერმანელნი, რომელთ შორის მცოდინარი ოთხში სამია, ამათ მოსდევენ პოლშელნი,—რომელთ შორის მცოდინარი სამში ორია, შემდეგნი არიან რუსნი, რომელთ შორის ორში თითქმის ერთია. მეტნაკლებობა ეგრედ წოდებულ კულტურისა სხვათა შორის ამ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვითაც განიზომება.

# ფელეტონი

## დათვი

### IV*)

მონადირეები ეხლა ტყეში იყვნენ. გარიჟრაჟდა და ერთს ხევს მიადგნენ, პირები დაიბანეს, ზოგმა ჩიბუხი გააჩაღა, სხვამ პურს დაუწყო ლოღნა. დაიბანეს პირები და გადიწერეს პირჯვარი. ხევს რომ გასცდნენ, აღმართს შეუდგნენ. ტყესა და ტყეს შუა ველები იყო, ველები მწვანედ მოსჩანდა, ბოლოით დაფარული. უცბად ყველანი შეჩერდნენ. თოფიანებმა თოფებს გაიკრეს ხელი. რა მოხდა? ტყიდამ გამოცანცარდა კურდღელი, ჯერ კიდევ ნამი არ გაჰშრობოდა ტანზე და ყურებზე. პატარა ხანს გზაში შედგა, დაყუნტდა, ყურები აცქვიტა. წინად დაბუხულს ჰგვანდა და ხალხი რომ დაინახა, ფიცხად გადახტა და მიიმალა ტყეში. თოფის სროლა ვერაფინ მოასწრო. გიგოლამ ყურადღებაც არ ათხოვა და სხვებსაც დაუწყო ჯავრობა.

— სად არის იმდენი ტყვია-წამალი, კურდღლებზე ვხარჯოთ. კურდღელს რომ ტყვია მოხვდეს, ხომ ფეხების მეტი აღარაფერი დარჩა.

— აი დასწყევლოს ღმერთმა, იძახოდა ხალხი: როგორ დაგვნავსა მაგ ვერანამ! ცუდი ნიშანია, ცუდი!

ცოტა რომ გაიარეს, უფრო ფიცხად გაიკრეს თოფიანებმა ხელი თოფებზე, ნაჯახიანებმა ნაჯახზე, წალდუნიანებმა წალდუნაზე და შუბიანებმა შუბზე. რადა? რა მოხდა? რა ამბავია? ის ამბავია, რომ საით მხარესაც კურდღელი გადახტა, იმ მხარედამ, თუმცა ცოტა ზემოდამ, მელა გადმოხტა და სწორედ ერთი ადლის ტოლა კუდი გადაათრია გზაზე.

— მელა, მელა, მელა! დაიძახა ხალხმა ჩურჩულის ხმით. მელამ ერთი თავისებურად ცბიერად, ცბიერის თვალებით გადმოჰხედა მონადირეებს, ულვაშები, თან ტუჩი აიფშრუკა, თითქოს დასცინა მონადირეებს, გადახტა თავ-მომწონებით და დასკუპდა ველის პირად.

— უყურე მაგ ვერანას, სთქვა ერთმა და თან თოფი მიუღერა, დააჩხლაკუნა და არ გაუვარდა-კი. მელამ კუდი აიბზიკა, გადახტა და იქვე დაცუცქდა.

— ჰაი, შე საოხროვ, შენა სთქვა მეორემ და მიუშვირა თოფი: მე გიჩვენებ შენ სეირს. დაუჩხლაკუნა და კიდევ იმასაც არ გაუვარდა. მელამ წინანდებურად კუდი შემოიკაუჭა, გადახტა, შემოიხედა ერთი და იქვე დაყუნტდა... დასცინა მონადირეებს, ნამდვილად დასცინა. მონადირენი განცვიფრებით ბრაზ-მორეულნი შესცქეროდნენ მელას...

— დაგნავსათ, რა ამბავია, მაგ ოხერმა?! სთქვა მესამემ და მიუჩხლაკუნა იმანაც თოფი. ფალიამ აიარა, მაგრამ თოფი კიდევ არ გავარდა. მელამ ეხლა-კი იკადრა და გადახტა ტყეში. ამ სურათის მნახველს თევდორას სიცილი ველარ დაემაგრებინა, მუცელი ხელით ეჭირა და ჰგორავდა დაბლა.

— ვაჰმე, დედავ, ვაჰმე, დედაჩემო! ნეტა ი საოხრო მუგუზალი მაინც წამომელო, კასკასებდა თევდორა.

გიგოლას ძალიან ეწყინა ეს ამბავი და შეუტია მონადირეებს.

— მაგ იმედით მოსდიხართ დათვზე?! ვაჰ, შენ ჩემო თავო, ვაჰ, შენ ჩემო თავო! სთქვა გიგოლამ გაჯავრებულმა: მომიტანეთ აქ თოფები, მომიტათ, მომიტათ ჩქარა!

— შენ რატომ არ ესროლე, გიგოლი, თოფი იმ ოხერს. რა გვიყო, როგორ დაგვნავსა, ვერ უყურებ?— უთხრეს მონადირეებმა გიგოლას.

— სადათვედ გატენილი თოფი მაქვს, მელაზე დავცალო?! სთქვა გიგოლამ: მომიტანეთ აქ თოფები!

გიგოლას თოფები მიუტანეს: სათითაოდ ყველა თოფები გასინჯა... ყველას ტალები გამოარიდა, დაუპირა, საფალია ყველა თოფებს თავის საპირისწამლიდამ დაუყარა თოფის ყურზე.

— ვაი, ვაი, რა ხალხნი ხართ, ამბობდა გაჯავრებული გიგოლა: თქვენი რა იმედი უნდა ჰქონდეს კაცსა! დათვზე მოსდიხართ და რა იარაღით მოსდიხართ, სირცხვილი არ არის?! განა ნადირობა რომ გაგიგონიათ, მაგ ნაირის იარაღით ნადირობენ და ჰხოცენ ნადირსა?!

— ყოჩაღადა ვართ, ფიქრიც არ არის, გიგოლი, სთქვა თევდორამ სიცილით: ერთი მუგუზალი-ღა გვაკლია, სხვა არაფერი!

— შენ რომ თოფიც არა გაქვს, შვილო, შენ ვისღა დასცინი! უთხრეს შერცხვენილმა მონადირეებმა, სიცილისაგან თვალებ-მოცრემლიანებულს თევდორას.

### V

ხალხი, ცოტა არ იყო, სასო-წარკვეთილებაში ჩავარდა ამ მარცხის გამო, იმედი შეუსუსტდა გულში, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა, უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. მონადირეებმა გადაიარეს ქედი და მოედნენ ხშირს, დაბურულს ტყეს. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, გავიდნენ მლაშე ველში. ჯერ მზე კიდევ არ ამოსულიყო, მხოლოდ გაეწითლებინა-კი აღმოსავლეთი. ფრინველთ პირველ განთიადის გაჩაღებულს გალობას უკლეს, მხოლოდ წიპრია და წიფლის-ჩიტა არ დალალულიყვნენ. მონადირენი დასხდნენ ცოტა ხანს და გამართეს თათბირი იმაზედ, თუ საით და როგორ მისვლოდნენ დათვსა, რადგან დათვის ბინაზე, მის საწოლზე ახლო იყვნენ.

— იცით, ბიჭებო, ჩვენ რა უნდა ვქნათ და როგორ უნდა მოვიქცეთ? სთქვა გიგოლამ, მაგრამ სიტყვის დასრულება ველარ მოასწრო, რომ ფიჩხნარიდამ ბლუილი შემოესმათ... ოჰო, ოვვ, სთქვა კვლავ გიგოლამ გამხიარულებულმა: მე რო გითხარით ფიჩხნარში ეგდება-მეთქი, აბა დაიყურეთ, რა ამბავში არის ჩვენი მტერმოყვარე!

ყველანი ფეხზედ წამოდგნენ, აცქვიტეს ყურები და გაიცქირებოდნენ ფიჩხნარისაკენ.

— ეჰე, სთქვა ერთმა: როგორა ბურტყუნებს ეგ მუდრეგი!

— ჰოი და-და-და-და-და, სთქვა მეორემ: ძაან არ გამწარებულა!

— ჰაი, ოხრობა შენი და ტიელობა! გაისმა საერთო ხმა ხალხისა: რა აღმუვლებს, გიგოლი, მაგ მუდრეგს?

— კბილი ასტკივნია, მიუგო გიგოლამ: კბილი, და თან ჩიბუხზედ ჩიბუხის ნემსით აბედს დაუწყო სწორება: დაიცადე, დაიცადე პატარა ხანი, მაგ სხვა კბილებს ჩვენ აგატკიებთ, მოგვეითმინე პატარა ხანი, კიდევა სთქვა გილოლამ თავ მომწონედ.

— კბილიო? განიმეორა ხალხმა: ჰაი, ასემც ასტკივნია, რომ თან გაეტანოს კიდეც. ჩვენი ცოდო რა ხეირს დააყრის!..

— კბილი-კი არა, სთქვა ღიმილით თევდორამ: გვემუქრება. გაიგო, რომ მივდივართ და გვეძახის: „აბა, კაი ბიჭები იქნებით და მოხვალთო!“ გიგოლა გეხუმრებათ, რა არის გული არ გაგიტყდეთ.

— არა, მართლა კბილი სტკივა, გეთაყვა, გიგოლი?! განმეორებით შეეკითხა ხალხი გიგოლას.

— მართლა, მამიჩემის სულის განათლებამ. სხვა დათვს არაფერი დააწყვებინებს ეგრე გაბმით ღმუილს. ერთი როცა თოფს დაჰკრავ, მაშინ დაიღრიალებს მხოლოდ ერთხელ, მერე ხმას გაიკმენდს, თუნდა დაჰრილიც იწვეს, ან მირბოდეს, აღარა ღრიალებს. ეხლა ეგ ადგილობრივა გდია და უფრო საშიში ეხლა არის, უეჭველად ომს აგიტეხს, მაგრამ,

*) იხ. „ივერია“ № 227.

თუ 20,000 ათასი რუსი სასწავლებელში ჰზდის 138 ყმაწვილსა, თუ ორი ათასი გერმანელი ზდის 24-ს, 1,500 პოლშელი—16-სა, ჩვენ რა წყრომა ღვთისა გვეწია, რომ 22,000 ქართველი თითქმის მარტო იმოდენასა ჰზდის, რაც ორი ათასი გერმანელი. ეს გულ-საკლავი ამბავი რის მომასწავებელია? ვამბობთ, ღარიბნი ვართ და ვერ ვუძლვებით შვილების გაზდის ხარჯსაო. კიდეც ეგ არის სავალალო, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი-კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც ჰშოულობს და სახლობასაც გაუჭირებლივ ჰკვებავს. რადა? რად უნდა იყოს ესე? ჯერ იმიტომ-რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად-კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულ-მკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა, და ამიტომაც, როცა სარჩო-საბადებელისათვის იღვწის, მაშინ წელებზედაც ფეხს იდგამს, რომ შვილის გასაზრდელი ხარჯიც მოიამაგოს. გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად-კი თავის მონაგარს გრომს გადასდებს. შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაჰზოგავს და ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული, იცის, რომ ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსრეტყვავი. ამ სახით, რაკი გერმანელისათვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებელი საჭიროებაა, მის საეკონომიო ანგარიშში, მის სადვაწოსა და საამაგოში შვილის გასაზრდელად სახარჯოს მოპოვებას თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯაფას, გარჯას იორკეცებს და, თუ ამით ვერას გამხდარა, სხვაგან იკლებს და ამ სახარჯოს-კი ჰმატებს.

მეორე მიზეზი იმისი, რომ გერმანელს არ უჭირდება შვილის სკოლაში გამოსაზრდელი ხარჯი, ის არის, რომ გერმანელს ცოტად თუ ბევრად ცოდნა აქვს რისამე: ან სწავლულია და ამით ჰშოობს ცხოვრების საგზალსა, ან ხელოვანია რაშიმე, ან ხელოსანია. იგი საცა მიდის, ყველგან ჰპოულობს საქმეს, და რაკი ცოდნა აქვს, მრავალ-გვარად იადვილებს სარჩო-საბადებლის შოვნასა და ჩვენებრ უცოდინარს ხელიდამ აცლის საქმესაც და ლუკმასაც, ძალ-მომრეობით და უნამუსობით-კი არა, პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით, იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული.

ჩვენ ყოველს ამაზედ ძალიან შორსა ვართ. ჩვენს საეკონომიო ანგარიშში, ჩვენის ცხოვრების „ჩოტკაში“ შვილის გასაზრდელს სახარჯოს არავითარი ადგილი არ უჭირავს. განა მითამ სურვილი სკოლაში მიბარებისა არ იყოს ჩვენში გაძლიერებული!.. აბა ჰნახეთ, რამოდენა ქართველობა მიაწყდება ხოლმე სასწავლებლის კარს, როცა მიღების დრო მოდის. ხომ ესეა და ბოლოს და ბოლოს მარტო იმასა ვხედავთ, რომ ამ მრავალთაგან თითო-ოროლა-ღაა შესული სასწავლებელში და ამ გზით ქართველები ყველგან ცოტანი არიან.

რად არის ესე? თუ სურვილი ძლიერია, საქმეც უნდა გამოდიოდეს რამე და რატომ არ გამოდის? იმიტომ-რომ ჩვენ შვილი მიგვყავს სკოლაში მარტო იმისათვის, რომ თავიდამ მოვიშოროთ, ან სახელმწიფოს მოვახვიოთ კისერზედ, ან სხვას ვისმე კეთილმყოფელს, და რადგანაც სხვისი ჯიბე იმოდენად უხვი არ არის, რამოდენადაც დიდია სურვილი მუქთად შვილის გამოზრდისა და გამოკვებისა, ამიტომაც ბევრი დედ-მამა იძულებული შვილი უკან წაიყვანოს. ეს სწორედ იმასა ჰგავს,—ყავს ბახალა მოუკვდაო და ბუს მიუკდო, დიდი თავი შენა გვაქვს და შენ იტირეთო.

ერთხელ და ერთხელ საჭიროა ყურებიდამ ბამბა გამოვიღოთ. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. რასაკვირველია, ამას ხარჯი უნდა და აი სწორედ ამის სახარჯოსათვის ჩვენ არ ვირჯებით, არა ვმოქმედობთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთს ოფლსაც არ ვიმეტებთ. პური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოობთ, ღვინო როცა გვაკლია, ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, იქით ვეცემით, აქედ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ და როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გავძრავთ, თუნდა მთელი დღე იმოდენად მოცლილი ვიყვნეთ, რომ გულ-დაღმა ვიწვნეთ და ჭერში ბუზებსა ვსთვლიდეთ. გაზრდა შვილისა-კი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროს-ერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ.

აკი ვსთქვით, სურვილი სკოლაში შვილის მიბარებისა ბევრია, მაგრამ გვინდა-კი, რომ ყოველივე ეს ან მუქთად მოგვეცეს, ან მოწყალებისავით სხვისაგან გვეძლიოს. ჩვენ თითონ-კი ამისათვის ხელის განძრევაც გვეზარება: თუ მოვა თავის თავად, ხომ რა კარგი, თუ არა, უმაგისოდაც გავძლებთო, ვიტყვით ხოლმე. უმაგისოდ ვერ გასძლებთ, ვერა. ამ წუთი-სოფელში ბედი იმისაა, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია. მამ თან ხომ არ გადავყვებითო მაგ ხარჯსა და მოვალეობას, როცა ჩვენ თითონაც არა გვაბადია-რაო. სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთი-სოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში— აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, აქაური პოლიცია აგროვებს ცნობებს სხვა-და-სხვა გვარის სკოლისა და პანსიონის შესახებ. აქაურმა ადმინისტრაციამ ყოველივე ეს ცნობა უნდა წარუდგინოს რუსეთის სატეხნიკო და საპროფესიო სწავლა-განათლების მოღვაწეთა კრებას.

*** ტფილისის დედათა გიმნაზიას მომავალ 1890 წლის 16 აპრილს უსრულდება 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც ეს სასწავლებელი დაარსებულა. დედათა გიმნაზია აპირობს იდღესასწაულოს თავის არსებობის 25 წლის იუბილეი და წლიური აქტიც ამ დღისთვის გადაუდვია.

*** ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს, ფორკატის საოპერეტო დასმა მეოთხედ წარმოადგინა „პალერმოელი მომღერალი“. ამ დღეს უმთავრესს როლს, ლოდის მაკიერ, თამაშობდა პეტერბურგიდგან ახლად მოწვეული მომღერალი კლიმენტიევი. კლიმენტიევი კარგს მომღერალსა და კარგის ხმის პატრონსა ჰგავს, კარგი თვალ-ტანადია და უფრო ბარიტონის ხმა აქვს, ვიდრე პირველის ტენორისა. წარმოდგენაზე ხალხი ნაკლებად დაესწრო.

*** 24 ამ თთვისას ამიერ კავკასიის რკინის გზის ყარაულ პირკალამის სადგომში, ძეგამს ახლო, შეიპყრეს ძეგამელი მაჰმადიანი ჰასან-ოღლი, რომელიც პირკალამას ძმა არის და რომელმაც ამას წინად ალსტაფის სადგურზე ხანჯლით დასჭრა სასიკვდილოდ რკინის გზის მსახური ხარატოვი.

*** ახლად დაარსებულ „ყმაწვილების მფარველ საზოგადოების“ კრება დანიშნული იყო დღეისთვის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, მაგრამ რადგან დღეს ამ სახლში კავკასიის სამეურნეო გამოფენის ექსპერტების კრებაა, „ყმაწვილების მფარველ საზოგადოების“ კრება გადაიდო საორშაბათოდ, 30 ოქტომბრისათვის.

*** ამ დღეებში ტფილისში ერთი შესანიშნავი ქორწინება იყო. ვიღაცა ვაჭარს სომეხს, ძალზედ ხნიერს, თითქმის 70 წლისას, შეჰყვარებია სულ

---

ღეთით, ვერაფერს-კი გამოგვრჩება. თქვენ, როგორც მე დაგარიგოთ, ისე მოიქეცით.

— რა-კი კბილი ასტკივნია, იქნება კიდეც გადიტანოს თან. მოდით თავი დავანებოთ, სთქვა ერთმა და ნახევარი ხალხი ამ სიტყვაზე დაეთანხმა.

— აი ყოჩაღო! მართლა, მართლა, კარგი მოიგონეთ, სთქვა გიგოლამ სიცილით.

ამდენის ხნის გაუცინარს ეხლა ძლივს გაეცინა გიგოლას.

— ბალღები ხომ არა ხართ, რას ამბობთ, კაცნო? განაგრძო გიგოლამ: თუ გეშინიანთ და სული ძალიან გეტკბილებათ, ნუ წამოხვალთ, მიბრუნდით უკანვე და მიუდით თავის ცოლებს შინ მშვიდობით, თუ არადა, რას ამბობთ, როგორ ამბობთ? დედაკაცები ხომ არა ხართ, კაცები ხართ, თავზე ქუდები გხურიათ. ქუდი კაცს ნამუსისათვის ჰხურავს, განა მარტო სიცხე-სიცივისათვის. სირცხვილით მაგას როგორ ამბობთ, თუნდა იცოდეთ კიდეც, რომ ცოცხლები ველარ დაბრუნდებით შინა?!

— ვხუმრობთ, გიგოლი, განა მართლა ხომ არ ვამბობთ, შესძახა გამხნევებულმა ხალხმა: რასაც შენ გვეტყვი და გვირჩევ, ჩვენც ისე მოვიქცევით.

— ე მაგრე, ჰაი, ყოჩაღ, ნიახურელებო, ყოჩაღ! შესძახა თევდორამ თავისებურად და ჩამოიწია თავისი დაგლეჯილი ქუდი თვალებზედ...

ყველანი გაუჯავრდნენ ამ მოუთმენლობისათვის. თევდორამ იტურნა და თავისათვის მიჯდა გამხმარ ჯოჯრების პირში.

— პირდაპირ უნდა სოროში მიუხტეთ, იძახდა ხალხი, ყველანი ერთბაშად უნდა მივიდეთ და დაუშინოთ თოფები!

— არა, სთქვა გიგოლამ: ერთის მხრიდამ მისვლა არ გამოდგება. როგორ იქნება? წამოხტება და სხვა მხარეს გაგვექცევა, პირში ჩალას გამოგვავლებს. ეგრე-კი არა, ჩემო ძმებო, ჩვენ უნდა გარს შემოვერტყნეთ დათვის ლოგინს, ირგვლივ რამდენიმე, კაცი ერთად დადგეს, ოროლი, ან სამ-სამი რომ ერთმანეთს მიეშველნენ. ერთი-ორი ბიჭი ზევით უნდა გავგზავნოთ, რომ დააგორონ ქვები და ზედაც თოფები დაახალონ. დათვი ადგება, პირ-აღმე არ გაიწევს, წამოვა თავ-ქვე და ჩვენც წინ დავუხვდებით.

ხალხი ძალა-უნებურად დასთანხმდა გიგოლას რჩევას, ყველას ერთად ყოფნა ეწადა, ერთად ბრძოლა და ერთს ადგილს სიკვდილი, მაგრამ არ შეიძლებოდა. ხალხი დასთანხმდა გიგოლას, ორი ბიჭი დათვის ასაგდებად გაგზავნეს და ხალხი ოროლ-სამ-სამი კაცი ერთად დადგნენ ფიჩხიანის გარეშემო. დათვის ბლუილი და კვნესა ისევ ისე მოისმოდა, ზოგნი ხერგებში შეძვრნენ, სხვანი ბუჩქიანში ჩაიმალნენ, ან ხეებზე აფიდნენ და ამბობდნენ: ზევიდამ უფრო კარგა დავაზელთ დათვს თოფსაო. ქიტესამ და თევდორამ ერთი ძირიანად ამობრუნებული წიფელი აისაფრეს. ქიტესა დაიმალა ფესვებთან, თევდორა წიფლის წვერებთან მაღალ ფეხზე შემოყენებულის ქოფაჩით.

— ნუ გეშინიან, ძმაო ქიტესო, ჩამოსძღუდუნებდა ზევიდგან თევდორა: თუ ჩემი ნაჯახი აქ მექნება, ლომსაც გავისტუმრებ, განაღამც დათვს. ამბობდა რა ამას თევდორა, თან ნაჯახს იტრიალებდა ხელში.

თევდორას ზემოდ თელასთან ატუზულიყო სოსიკა-ბიჭი, იმასაც მოემარჯვებინა გაშავებული და ქანგისაგან შეჭმული სარა-თოფი. გიგოლა ქვევით გეზზე ჩაუჯდა, ერთი ცეცხლისაგან ვამომწვარი და გატუსული ყუნჭი აიფარა, თოფს წვერი დათვის მოსავლისაკენ მიუბრუნა და გაფაციცებით, მოუთმენლად ელოდდა დათვის გამოჩენას. ყველანი, თავ-თავიანთ იარაღით მომზადებულნი, გულის ფანცქალით ელოდნენ დათვთან ომს.

### VI

მოისმა კივილი დათვის ასაგდებად გაგზავნილის კაცებისა და გავარდა ორი თოფი ზედი-ზედ. დათვს ამ ხმაურობაზე ცუდმა მხარმა უთხრა. ადგა გამწყრალი, ახალმა ჭირმა კბილის ტკივილი დაავიწყა. სიბრაზისაგან პირზე დორბლი მოუვიდა. წამოვიდა თავ-ქვე ბუზღუნით. მოდიოდა დათვი ზვავივით, მოჰქონდა ფეხით მიწა და ფოთოლი და ტანით შიმლაების ტოტები. ყველას ქრქოლა მოჰკიდა ტანში, მოუვიდათ ქამი ცივბ-ცხელებისა. დათვი ექვსს მონადირეს გამოსცდა. ამ ექვსში მარტო სამი იყო თოფიანი, სხვანი კეტებითა და შუბებით იყვნენ: თოფიანებმა დათვი რომ გაიცილეს, მერე დაახალეს თოფები. სამი თოფი ერთბაშად გავარდა, დათვი დაიჭრა რამდენსამე ადგილას და მორთო ღრიალი. ნატყვიერებს კბილით იჯენჯდა და ამტვრევდა ხეებს, ასტეხა ვაი-უშველებელი, დიდი მუქარა, დიდი ამბავი და გაექანა ბურტყუნით იქითკენ, სადაც ქიტესა და თევდორა იყვნენ ჩასაფრებულნი... ქიტესამ დათვს თოფი შუბლში დაუმიზნა, დასხლიტა ჩახმახი, თოფი გავარდა, ტყვია ძირს დაუცდა, ფეხში მოჰხვდა დათვს და წინა ტოტი მოსტეხა. დათვი გამწარებული გაექანა, დაეტაკა ქიტესას და დაუწყო ბეგვა...

„კაცი მოკლა, კაცი მოკლა!“ გაისმა ხმა მონადირეებისა: „უშველეთ, კაცებო უშველეთ!“

— ნუ გეშინიან, ძმაო ქიტესო, მე აქა ვარ, ნუ გეშინიანთ, გაისმა ხმა თევდორასი. თევდორა ნაჯახ-მოღერებული გადმოხტა და მიიწია მისაშველებლად. გაგონილი ჰქონდა, რომ დათვზე რომ გადაჯდეს კაცი და ყურები დაუჭიროს, დათვი ველარაფერს უზამსო. თევდორაც მივიდა თუ არა, შეახტა დათვს ზურგზე, ნაჯახი ხელიდამ ჩაუვარდა, როცა ყურების დასაჭერად დათვს ჩააწვდა ხელები. დათვი შედგა ტოტებზე, აასხლა და დაასქდა, თევდორა მოიგდებინა, ამოიდო ქვეშ ქიტესასთან ერთად და დაუწყო ორივეს ბუზნა. გამოექანა სოსიკა-ბიჭი, მორბოდა მოსაშველებლად და თან გამოწვდილი დამზადებული თოფი ეჭირა ხელში. უცბად ხელი მოჰკრა ვიღამაც უკან კალთაზე, „ვაიმეო!“ დაიძახა სოსიკა-ბიჭმა და დაეცა ბაბლა, თოფიც ხელიდამ ჩაუვარდა. იმას ეგონა დათვმა დამიჭირაო.

— ნუ გეშინიან, შვილო, ნუ გეშინიან, მე ვარ, ეუბნებოდა გიგოლა ათრთოლებულის ხმით, რომელიც დათვს ეპარებოდა და უნდოდა თოფი ესროლა დათვისათვის. გიგოლას შეეშინდა, ვაი თუ სოსიკა-ბიჭს დაუცდეს თოფი, ხელი აუკანკალდეს და კაცები დახოცოს დათვის მაგიერად. ამიტომ დაუჭირა კალთა სოსიკა-ბიჭს და დააწვინა უკან. სოსიკა-ბიჭს გული წაუვიდა და გამტკნარებული გაიშხლართა ბაბლა, მაგრამ გიგოლამ იმას ყური აღარ უგდო. დაუჩოქა დათვს და ყურის ძირში მისცა თოფის ნიშანი. დათვი ამ დროს თევდორასა ჰბეგვდა. თოფმა დაიგრიალა, ცოტახანს ისევ ისე იყო, ყურის ძირში ტოტი მოისვა და დაჰხედა. რა ნახა სისხლი, დაიღრიალა ერთი-კი საცოდავად, გადაგორდა და თევდორაც თან გადიყოლა, რადგან თევდორას მკლავი პირში ეჭირა. მონადირეებმა დაინახეს რა წაქცეული და გაგორებული დათვი, გამოვიდნენ საფრებიდამ. ზოგნი გამოსულებიც იყვნენ და მოსაშველებლად მორბოდნენ. შეჰქმნეს ყვირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი ქალი 16 წლისა. ვაჟარი კუპიდონს ისე მოუჯადოვებია და აღგზნებულს სიყვარულს იქამდე მიუყვანია საქმე, რომ ჯვარის წერაც ჩაუდვია გულში. რასაკვირველია, ბევრმა გაიგო ეს ამბავი და მოუთმენელად ელოდნენ ეკკლესიაში მეფე-დედოფლის ნახვას. ამ თთვის 22 გაიგეს, რომ ჯვარის-წერა დანიშნულია ნორაშენის ეკკლესიაშიო, სადაც ღამის ათ საათზე აანთეს ჰაღები. ერთს წამს ეკკლესია აივსო ხალხით. დაიწყო ლოდინი, იცადა შუაღამემდე და ვინ იცის, კიდევ რამდენს ხანს დაიცდიდნენ, რომ ვიღაც კაცს არ მოეტანა ამბავი: ჯვარის-წერა კიდეც გათავდა ავლაბრის ეკკლესიაშიო. ოსტატმა ვაჟარმა ალბად იფიქრა, რომ „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარევსაო“, და მოშორებით ამოირჩია ეკკლესია ჯვარის დასაწერად.

*** ამ ქამად პოლიცია დაეძებს ტფილისის საკომერციო ბანკის ბილეთებს № 15177-ს 2080 მანეთისას და № 1519-ს 1550 მანეთისას. ეს ბილეთები ფოსტით გამოგზავნილი ყოფილა თემირხანშურიდგან სოფიო არაქელოვის მიერ ფრანგების მღვდლის მამა პავლე ყალაიჯევის სახელზე. ყალაიჯევმა წერილი მიიღო იმ თთვის 23-ს და შიგ-კი ბანკის ბილეთები არ იყო. ჰგონებენ, რომ, ბილეთები თუ მოიპარა ვინმემ, ალბად მაშინ მოიპარავდა, როცა მამა ყალაიჯევს წერილი გაუხსნია და პატარა ხანს გარედ გასულა ვიღაც კაცთან მოსალაპარაკებლადაო.

*** ახალი ცხენის რკინის გზა, გაყვანილი ავჭალის ქუჩაზე, ერთობ კარგადა მუშაობს. ვაგონები თითქმის მუდამ სავსეა ხალხით. როგორც ამბობენ, ორთა შუა რიცხვით ამ ახალს გზაზე დღეში მოგზაურობს ორი ათასი კაცი. კვირა-უქმეობით სამ ათას-ზე ზევით ადის რიცხვი მოგზაურთა. ერთი დიდი ნაკლულევანება ამ გზისა ის არის, რომ ლიანდაგი მარტო ცალპირია. ამის გამო როდესაც ზევიდამ მოდის ვაგონი, ამ დროს ქვემოდამ მომავალმა ვაგონმა უნდა უცადოს გზაში, ვიდრე არ გაივლის. ასეთი შესაყენებელი ადგილი სამი-ოთხია მთელს ლიანდაგზე და ამიტომ სამ-ოთხ ადგილას უნდება ვაგონს შეყენება და ლოდინი. ამასობაში კარგა ბევრი დრო გადის და, რასაკვირველია, აბრკოლებს მოგზაურს. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, ბ-ნს ყორღანოვს განზრახვა აქვს ტელეფონი გაიყვანოს მთლად ამ გზის სიგრძეზე, რომ პირისპირ მომავალმა ვაგონებმა შეიტყონ როდის არის გზა თავისუფალი და როდის არა. ტელეფონის საშუალებით ადვილად მოახერხებენ, რომ ერთ დროს მოვიდნენ ვაგონები ამისთანა ადგილებზე და ერთმანეთს დასცილდნენ. მაშინ ისე იქნება საქმე, რომ ვაგონს სრულებით აღარა დასჭირდება ლოდინი და მოგზაურობა დაუბრკოლებელი გაიმართება.

*** ჩვენი ქვედა-აჭარელი კორრესპონდენტი, ბ-ნი აბდულ-ეფენდი მიქელაძე, გვწერს სოფელ ქედადამ: 19 ამ თთვეს ქვედა-აჭარის უფროსმა შეჰყარა ასკერი თავის მილიციელებით და წავიდა სოფელს დანდალოს, სადაც ეგულებოდა ზოგიერთი ავაზაკი და სოფლების შემაწუხებელი კაცი. უფროსმა ასკერი გაჰყო ოთხ გუნდად და თითოეულს უბრძანა დახხ მოდა თავს სხვა-და-სხვა უბანს. მალე გავარდა თოფი ავაზაკისაც, რომელიც მოემწყვდა ერთს გუნდის მიერ გარშემორტყმულს სახლში. გუნდმაც დაუწყო სროლა თოფისა. ავაზაკი გამოვარდა ფანჯრიდგან და გაიქცა. სირბილში მოარტყეს თოფი და დასჭრეს. ტყვე შეიპყრეს და ასე დაჭრილი წაიყვანეს სოფელს ქედაში 15 ვერსის მანძილზე. შეპყრობილი ავაზაკი ჩაქველი კაცი გამოდგა, მამედალი ყარასლიშვილი. ამ ყარასლიშვილს ჰბრალდება რამდენიმე დანაშაული: მოკვლა ორის ძმის სუბაშიოღლებისა, გაცარცვა ზედა-აჭარელ ვოჩახისა და სხ. დამნაშავე გაჰგზავნეს ბათუმის საპატიმროში.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ალაგი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ქვემოდ მოყვანილს ანგარიშს ლატარია-ალლეგრის შესახებ, რომელიც გაიმართა ბათუმს 8 ამ ოქტომბერს ქალაქის ბაღში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ აქაურ სკოლის სასარგებლოდ.

| შემოსავალი: | მან. კაპ. |
| --- | --- |
| შესასვლელ ბილეთებისა | 373—16 |
| ბუფეტისა . . . . | 220—65 |
| ალეგრის ბილეთებისა . | 1218—25 |
| კერძოდ შემოწირული ფულად . . . . . | 236—25 |
| გადანარჩენი ფიცრები გაიყიდა . . . . . | 3— „ |
| ალლეგრის გადანარჩენი ნივთები გაიყიდა . . | 50—16 |
| სულ . | 2101—47 |

| დახარჯა: | მან. კაპ |
| --- | --- |
| ლატარიისთვის ნივთების სასყიდლად და მოსართავად . . . . . . | 84—81 |
| სტამბაზე დაბეჭდვა ბილეთებისა, აფიშებისა და მათი გაკვრა . . . . | 16—50 |
| მემუსიკეთ (ორ ხოროს) მიეცა . . . . . . | 40— „ |
| მომღერლების ხოროს . | 20— „ |
| მეზურნეებს . . . . | 25— „ |
| შუშხუნები, ბენგალის სინათლე და ფერადის ფარნებისა . . . . . . | 57—40 |
| ხე-ტყე . . . . . . . | 14— „ |
| დურგლებს მიეცათ . . | 15— „ |
| პავილიონის პატრონს, რომ ნება მოგვცა ბუფეტში ვაჭრობისა . . . . | 23— „ |
| კანდიტერს . . . . | 20— „ |
| ჯარის-კაცებს საყარაულოსი . . . . . . | 16—50 |
| მუშებს . . . . . . | 23—40 |
| პოლიციელებს . . . . | 4— „ |
| მსახურებს . . . . . | 13— „ |
| ბუფეტისთვის ნასყიდი ხილი და სასმელი . . . | 180— „ |
| გადატან-გადმოტანა, ფაეტონი და სხვა წვრილმანი ხარჯი . . . . | 10—20 |
| სულ . . | 578 81 |

ამ სახით „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დარჩა წმინდა შემოსავალი 1522 მან.—66 კაპ., რაიცა უკვე გადაეცა კუთვნილებისამებრ.

აქვე მოვალეობად ვრაცხ სიამოვნებით მოვიხსენიო, რომ ბათუმის საზოგადოებამ მხურვალე და ერთგული მონაწილეობა მიიღო კეთილს საქმეში და ამ სახით შემწეობა აღმოუჩინა სკოლას, სადაც უმთავრესად ღარიბ ბათუმელების შვილები იზრდებიან.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის წევრი

გრ. გოლსკი

ქ. ბათუმი

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ბოჰემიას გარდა, ავსტრი-ვენგრიის სხვა სასლავიანო ქვეყნებშიაც ძლიერია საეროვნო მოძრაობა. ამ მხრით ყურადღების ღირსია დალმატია, რომელიც სცდილობს შეუერთდეს კროატიასა და სლავონიას. დალმატიელები მწარედა სჩივიან, რომ საქმე გაგვიჭირეს ვენგრიელებმა და ავსტრიელმა გერმანელებმაო. ისე ვართ იმათგან შევიწროებულნი, რომ სული ველარ მოგვიბრუნებიაო. თითქო განგებ, — და მაინც განგებ და განზრახა, — სცდილობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მოკლებული იყოს ევროპიულის განათლების სიკეთეს და მის მაცოცხლებელს სხივებსაო. აი რა უთქვამს დეპუტატს ბანკიანის, რედაქტორს დალმატელების გაზეთისას დალმატიის ლონტაგში.

„ჩვენი ყოფაო, უთქვამს ბანკიანის: მეტად განსაკუთრებული და საშინელი ყოფაა. მთავრობა მეტად გულ-აცრუებით და გულ-გრილად გვეკიდება. აზიის უდაბნოებში და, ასე გასინჯეთ, კონგოს კიდეებზედაც-კი გაისმის უკვე სტვენა რკინის გზის მატარებლისა და ჩვენ-კი — შუა-გულ ევროპისა, რომლის კულტურა დავიხსენით ოდესმე ოსმალთ ბარბაროსობისაგან, ჩვენ-კი, რომელთაც საკუთარი სამეფო გვქონდა და ძველადგანვე ქრისტიანობის მტვირთველნი ვიყავით და ვართ, მეცხრამეტე საუკუნეშიაც უნდა ვისხდეთ გულ-ხელდაკრეფილნი და ვუცდიდეთ, როდის მოვა წინასწარმეტყველი მოსე და დაგვიხსნის იმ განმარტოებისა და განცალკევებისაგან, რომელიც მონობის უღელივით მძიმე ტვირთად დაგვწოლია და გვათახსირებს ხორცითაცა და სულითაც. ჩვენი ვაჭრობა და აღებ-მიცემა ბოსნიასა და ჰერცოგოვინასთან უკვე მოსპობილ იქმნა. მარტო ვენა და პეშტია სარგებლობასა და ხეირში ამ ორის ქვეყნის შემოერთებით. ჩვენი სავაჭრო ფლოტი, რომელიც ოდესმე თვით კარლოს მე-V-საც-კი ჰშურდა ჩვენთვის და რომელმაც იმდენი სანაქებო და სახელოვანი საქმე ქმნა ლეპანტოდამ დაწყებული ლისის ბრძოლამდე, წავიდა და განქრა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უქმია და ულონო

---

ლი, დასცეს დათვს კიჟინა. მისცვივდნენ გიგოლას და დაუწყეს კოცნა.

VII

— ემ თვალში გენაცვალე, გიგოლი, რომ სჭუტავ ხოლმეო, ჰკოცნიდა ერთი მარცხენა თვალში.

— მარჯვენა თვალში გენაცვალეო, ეუბნებოდა მეორე და ჰკოცნიდა: რომ კარგად ამოიღებ ხოლმე მიზანში.

ზოგი ეხვეოდა დაჭრილებს და უხვევდა წყლულებს. თევდორა ქიტესაზე მეტად იყო დაბეგვილი. ცალი ხელი, თეძო მილეწილი ჰქონდა, თვალპირზე სისხლი ჩამოსდიოდა, მაგრამ ერთხელაც არ დაუკვნესია. ქიტესას გვერდი ჰქონდა გამოჯენჯილი და ცალი ლოყა დაკაწრული. სოსიკა-ბიჭსაც სინჯვა დაუწყეს, მაგრამ წყლული არსად არა სჭირდა, თუმცა-კი თვალები დახუჭული ჰქონდა და მკვდარივით ეგდო. ჩაუყვეს უბეში ხელი, გული უცემდა.

— ე რა ამბავია, კაცო? ეკითხებოდნენ ერთმანეთს: კაცი ცოცხალია და მკვდარს-კი ჰგავს?!

— შიშინა, არაფერი უშავს! შემოსძახა ხალხს გიგოლამ. ხალხს მოჰქონდა წყალი ზოგს კალთით, სხვას ქუდებით, ბუერით და ასხამდნენ სოსიკა-ბიჭს თავზე.

— ადექი, სოსიკო, ადექი, ცოცხალი ხარ, ღმერთის მადლმა, ნუ გეშინიან, ადექი, ბიჭო! დაჰყვიროდნენ სოსიკა-ბიჭს თავზე: შეგშინებია, სოსიკო, შეგშინებია, ვერ დაგბეგვა დათვმა, ვერა!

როგორც იყო სოსიკა-ბიჭმა გაახილა თვალები, მაგრამ ისევ მალე დახუჭა.

— ავადა ვარ, ავად! წაილუღლუღა სოსიკა-ბიჭმა და მიწვა მხარ-თეძოზედ.

— გიორგა, ჰა, გიორგა, ეუბნებოდა თევდორე ერთს ახალგაზდა ბიჭს, რომელსაც მხარზე გაედო უზარმაზარი კეტი: ერთი ქუდი მომიძებნე, გეთაყვა, ქუდი, ჩემი ქუდი! თევდორას სიტყვაზე ყველანი დაფაცურდნენ, დაუწყეს ძებნა და შეიდად გაგლეჯილი მოუტანეს თევდორას ქუდი. ეს ქუდი აღარ დაიხურებოდა: ერთი თეთრი, ოფლისაგან გაშავებული თიკვი იშოვნეს და ის წააკრეს თევდორას თავზე. თევდორა მაინც არა კვნესის. წყლულები შეუხვიეს დაჭრილებს: ვინ ჩოხა დახია ნაჭრებად, ვინ ახალუხი. თევდორას შეუკრეს მაგრად გაჩეჩქვილი მკლავი და თეძო, თევდორა-კი მაინც კიდევ არა კვნესის.

— წორედ რკინის კაცია, ეგ ოჯახქორი, დასწყევლა ღმერთმა! ნახევარი კაცი აღარ არის და დახეთ, თუ ერთი ამოიკვნესოს, კაცო! იძახდნენ მონადირენი.

თევდორა მაინც არა კვნესოდა, წყლულები სურდო-ხველადაც არ მიაჩნდა. ორი ბიჭი სოფელს აფრინეს, რომ სოფლელთათვის ეხარებინათ დათვის სიკვდილი და თან ორი ურემიც წამოეღლოთ: ერთი დათვის წასაღებად, მეორე დაჭრილთათვის. მონადირეთ ეხლა დრო მიეცათ დათვზე ნავარდობისა. მიეხვივნენ ყველანი მკვდარს დათვს, ვინ კეტსა სცემდა თავში, ვინ კიდევ ნაჯახის ყუას კბილებში ურახუნებდა და თან უგინებდა ცოდვიანს კბილებს, ვინ შუბსა სჩრიდა ხახაში. დათვი უგრძნობლად ეგდო გულ-აღმა: გულზედ ხელები დაეკრიფა მკვდარის კაცივით, ჩამოსდიოდა სისხლი წყალივით თითქმის ყველა ასოდამ, ხოლო თავიდამ-კი ტვინი ჩამოსდიოდა და ეგლისებოდა, ეცხებოდა იმის სქელსა და ხშირს ბალანს.

VIII

მზეს ერთი შუბის ტარი-ღა ჩაუდიოდა, რომ ურმებმა მოიღეს ჭრიალი. უკან მოსდევდნენ ქვითინით ქიტესასი და სოსიკა ბიჭის ნათესავები. ყველაზე შესაბრალისი სოსიკას დედა იყო. ამ ერთად-ერთის შვილის მეტი არავინ გააჩნდა საბრალოს და ესეც ხელიდამ მისდიოდა თითქმის. შორიდამვე ისმოდა სოფიოს, სოსიკას დედის, ქვითინი.

— სადა ხარ, შვილო, სოსიკო! — ქვითინებდა სოფიო: გენაცვალოს, გენაცვალოოოს დედაშენი, შვილოო! რად გამოგგზავნე დათვზე მე თავ-მკვდარმააა! ვინ-ღა დამმარხავს მე საბრალოოს?! მაშ აღარ მეღირსება შენის ხელით მიწა, შვილოო?! რატომ შენზე წინ მე არ მოვკვდიიი! რად მინდა სიცოცხლეეე! რიღასათვის და ვისთვის ვიცოცხლოოო?!

ქიტესას ცოლ-შვილიც არა ნაკლებ დასტიროდა ქიტესას. მარტო თევდორას არა ჰყვანდა დამტირები, არავინ ჰგლოვობდა იმის უბედურებას, ან-კი ვინ იტირებდა თევდორას? და იმას არა ჰყავ, ძმა და ცოლი, ბიძა და ბიძაშვილები, ერთი ლიტონი კაცია... თავისი თავი თითონ არ ებრალებოდა, სხვა ვინ შეიბრალებდა თევდორას? ამითი გულს არ იტეხდა თევდორა, ვიღასაც რუსული ფარაჯა წაეხურა თევდორასათვის და ურმიდამ წინანდებულად გამოიჭყიტებოდა, წინანდებურად ისე, რომ საათში ერთხელაც არ ახამხამებდა თვალს. იმის გვერდზე იწვნენ ქიტესა და სოსიკო-ბიჭი. ეს უკანასკნელი როგორც იყო მოასულიერეს, მაგრამ მაინც კიდევ ავადობასა სჩიოდა, თავი დედის კალთაში ედო... მეორე ურემზე დათვი დაუდეს... დათვის სიკვდილმა ცოტა არ იყოს, რომ დედაკაცებს მწუხარება შეუმსუბუქა, რამდენიმე ქვა და გუნდა კიდევ თავის მხრით იმათ მიაყარეს დათვს, წყევა-კრულვა ხომ სხვა იყო. მონადირეებს დათვის მოკვლისაგან გახარებულებს დაჭრილთა მწუხარება დაავიწყდათ და სიმღერით გამოჰყვნენ უკან ურმებს.

IX

შუა ღამე მოტანებული იქნებოდა, რომ გამარჯვებულები შევიდნენ სოფელში. მოგროვდა ხალხი დიდი და პატარა, ქალი და რძალი დათვის სანახავად. ყველანი განცვიფრებით შესცქეროდნენ დათვის სიდიდეს, იმის გოდორივით დიდ თავ-ყურს.

— მოჰკალით დათვი? — კითხულობს ერთი.

— მოვკალით და ეგრე! — უპასუხებს ერთი მონადირეთაგანი.

— მართლა მოჰკალით? მორბის მეორე და იმასთან სხვანი მრავალნი.

— მოვკალით და მერე როგორ მოვკალით? ბოლი ავადინეთ ზურგზე! უპასუხებენ მონადირენი.

— მართლა, მართლა მოუკლავთ, რამოტონაა ეს ვერანა, ერთი უცქირეთ-და! — იძახიან სეირის სანახავად მოსული სოფლელები.

დათვი მეორე დღეს შუადღემდე სოფლის შუა მოედანზე გასატყავებელი ეგდო და ყველანი მოდიოდნენ და სინჯავდნენ, მკვდარს დათვზე ჯავრს იყრიდნენ. სოფელში კუტიც-კი აღარ დარჩა, რომ არ მოსულიყო და მკვდარის დათვისათვის წიხლი არ ჩაეზილა.

თევდორასა და ქიტესას სოფლის დედაკაცი დაადგა თავს, არჩენს ორივეს. ორივენი რჩებიან, ღვთის მადლით, კარგად არიან. თევდორა უფრო ყოჩაღად არის, ეხლა უფრო გამამაცდა და, არამც თუ საათში, ორსაათშიაც-კი აღარ ახამხამებს თვალებსა და ვეფხვივით გამოიცქირება.

დათვს-კი სცემს ხალხი თავში და პირში. რამდენიც დაარტყამს, იმდენი დასძახებს თავზე: „ამოგშხამდა სოფლის შეწუხება?! მოკვდი, მოკვდი, ეგრე მოკვდი!“

ვაჟა-ფშაველა

კროატიის დამოუკიდებლობისათვის. ეს ფლოტი განქრა და დაიღუპა არა ზღვის ომში, არა, იგი დაჰღუპა და ჩაჰკლა ხარჯის მკრეფელთა ლოდიეით მძიმე ხელმა. და აი ეხლა კიდევ ჩვენის სათევზო მრეწველობისათვისაც უნდათ ამართონ ხარჯებისა და ბაჟების გილიოტინა. საცოდავნი დალმაციის მეთევზენი იძულებულნი არიან ორ-კეცი ხარჯი იხადონ, ესე იგი ისეთი ხარჯი, რომელსაც სრულებით არ იხდიან იქვე მეზობლად მცხოვრებნი შტირიელნი მეთევზენი და, ასე გასინჯეთ, ის მთიულნი იტალიელნიც-კი, რომელნიც ჩვენს წყლებში თევზაობენ. განა ეს სამართალია? მექრთამეობამ და ხარჯისა და ბეგრის სიმძიმემ ჩვენის ქვეყნის ზოგიერთს მხარეში მოიდნო და მოინარიკლა ყოველივე, მთავრობა-კი ყურსაც არ იბერტყავს. ჩვენ, კროატელები, ამოდენა მსხვერპლსა ვსწირავთ სახელმწიფოს, თუ ფულითა და თუ ჩვენის სისხლით, ვიდრე სხვა ერნი და ტომნი ავსტრი-ვენგრიისანი, და მაინც კიდევ ჩვენ უფრო უყურადღებოდ ვართ მიტოვებულნი, ვიდრე სხვა ვინმე. აი რა სამწუხარო და საჟალალოა ჩვენი ყოფა ავსტრიაში! მე მხოლოდ მართალს ვამბობ, ნამდვილს ამბებსა და საბუთებს მოგახსენებთ. სამინისტრო დაგვპირდა, შემოვიღებთ ისეთს კანონსაო, რომ იმ კანონის ძალით თქვენი ენა თქვენის ქვეყნის ყველა საადმინისტრაციო და სამოსამართლო დაწესებულებაში იხმარებოდესო, მაგრამ სად არის. ეს აღთქმაც დაივიწყეს. წინანდებურად ყველა დაწესებულებაში კვლავ ბატონობს იტალიური ენა, ისე როგორც, ვენეტიკის მფლობელობის დროს იყო, თითქო ჩვენი ერი იტალიელებს დაუპყრიათო. მართალია, რაღაც ორიოდე განკარგულება გამოვიდა ჩვენის ენის შესახებ, მაგრამ ეს განკარგულებანი უფრო გვარწმუნებენ, რომ ჩვენსავე სამშობლოში ჩვენ ჯერ ისევ უცხონი ვართ და რომ ჩვენსავე ქვეყანაში ჩვენთვის სამართალი და სამართლიანობა არ არსებობს. ეხლა სხვა ახალი მოვალეობა მოგვახვიეს კიდევ, სახელდობრ გერმანულის ენის სწავლება. ერთის სიტყვით, უნდათ გააგერმანელონ დალმატია, ბოსნია და ჰერცოგოვინა. ამ აზრით მოდიან დალმატიაში მრავლისაგან - მრავალი გერმანელი პიონერები, კულტურტრეგერები. ამ აზრითვე დააარსეს ცარაში სამხედრო სკოლა, რომელსაც უფრო მართალი იქმნებოდა რომ ეწოდებოდეს: „სკოლა გაგერმანელებისა“. თავისუფლება წერისა და ბეჭდვისა ხომ დალმატიაში ცარიელი სიტყვაა. აქაური ცენზურა, დალმატიის მთავარ-გამგებლის ბრძანებით, გაონავერებითა მოქმედობს. სრულიად უმიზეზოდ და უარარაოდ აღკრძალეს გაზ. „Народный Листъ“-ის გზავნა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. უნდათ, რომ ძალის-ძალათ მოგვაშორონ სარაევოს, იქაურს ჩვენს თანამოძმეებს. უნდათ ის ერთობაც-კი მოსპონ, რომელიცა გვქონდა ჩვენა და ბოსნია-ჰერცოგოვინას ოსმალეთის მფლობელობის დროსაც-კი. მაშ რა არის ყოველივე ეს, თუ არ მტარვალობა, თუ არ დესპოტობა და ისიც ძალიან მდაბალი დესპოტობა? საქვეყნოდ ვაცხადებ ამ ლანტაგში, რომ სულითა და გულით წინააღმდეგი ვარ ასეთის დესპოტობისა, ასეთის მტარვალობისა. ახლა-კი დადგა დრო, როცა უნდა დავეკითხოთ ჩვენს თავს, საჭიროა თუ არა კვლავაც მივდიოთ მთავრობას და გავუწიოთ მომხრეობა, იმ მთავრობას, რომელიც ცარიელის დაპირების მეტი არაფერია ჩვენთვის? არა, ჩვენ მოსვენება არ უნდა მივცეთ, ყოველივე კანონიერი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, თვით უმწვერვალესიც-კი, და დავიყოლიოთ, რომ გვიშეღავათოს რამე, შეგვიმსუბუქოს გაჭირება და სული მოგვაბრუნებინოს“...

## დღეშა

27 ოქტომბერი

პეტერბურგი. გუშინ სენატმა განუჩინა სასჯელი ტულის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ ნამყოფს კოლოკოლოვს და ამავე სასამართლოს ბოქაულს პრუსაკოვს. კოლოკოლოვსა და პრუსაკოვს ჰბრალდებოდათ ბოროტ-მოქმედება სასამართლოს შენობის შეკეთების საქმეში. ორივეს გადაუწყვიტეს, რომ გამორიცხულ იქმნან სასამართლოდამ ამას გარდა პრუსაკოვს გადუწყვიტეს—გადაიხადოს 300 მან. ჯარიმა, ხოლო თუ შეუძლებელი აღმოჩნდეს სამის თთვით დაპატიმრებულ იქმნასო.

ვენა. (განსაკ. დეპეშა). «Fremdenblatt»-ს აუწყებენ ბერლინიდამ, რომ ფრიდრიხ-სრუეში გამართულს მოლაპარაკებას საკმაოდ სასურველი შედეგი მოჰყვაო.

რუსეთის იმპერატორის, ბერლინში ყოფნამაც ახალი იმედი დაჰბადა, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა ევროპაში. ამ ყოფნას ახლა უფრო დიდი ფასი დაედო იმის გამო, რომ თავადმა ბისმარკმა ინახულა გრაფი კალნოკი. ხვალ გრაფი კალნოკი ვენაში მივაო.

«Politische Correspondeng»-ი იუწყება, რომ გერმანიაში დაბრუნებისას ჰნახავს იმპერატორს ფრანციოსებს ინსბრუკშიო. იმპერატორების ნახვას კერძო ხასიათი ექმნებაო.

აქ მოვიდა ბელგრადში მიმავალი მეფედ-ნამყოფი მილანი. მილანი ჰგონებს, რომ კვირას უკვე ბელგრადში ვიქნებიო. მილანი იმიტომ მიდის სერბიაში, რომ დაამტკიცოს მორიგება დედოფალის ნატალიასა და სარეგენტოს შორის.

ლონდონი. «Times»-ს აუწყებენ ვენიდამ, რომ იმპერატორის ვილჰელმის წასვლას სტამბოლში საბოლოოდ ასეთი შედეგი ჰქონდაო: იმპერატორი სცდილობდა სიტყვა არ გაეგრძელებინა თითოეულ კერძო საგნის შესახებ და არწმუნებდა ხონთქარს, რომ სამთა კავშირს მშვიდობიანობის დაცვა აქვს საჩეშიო. გრაფ ბისმარკს ხშირად ჰქონდა ლაპარაკი დიდ ვეზირთან, მაგრამ ამ ლაპარაკში ბოლგარიისა და კრიტის შესახებ არა უთქვამს-რა ისეთი, რაც გერმანიის მთავრობის საქმეს გაუჩენდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ოქტომბ.

| | [illegible] მან. კ. | გამყიდვე-ლნი მან. კ. | [illegible] მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 64 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 152, 62 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 11 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 242 |
| —მეორისა | — „ | — „ | 230 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპი 481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე 45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

ოქტომბერი 31 დღით არის

28 დღე შაბათი, წმ. მღვდ.-მოწ. ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისა. კათოლ. მოწ. სიმონ, იუდა და თადეოზისა. სომეხ. წმ. თორმეტთა ბერთა. მაჰმად. მე-16 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—41, ჩადის 4—40. მთვარე 17 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | | $3\frac{1}{2}$ | |
| „ 2 | „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | | 5 | „ |
| „ „ 2 | „ | 4 | „ |
| „ „ 3 | „ | $3\frac{1}{2}$ | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა. | | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | | 4 | „ |
| მე-3 — | | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 | „ |
| „ 2 | „ | 7 | „ |
| სუკი | | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | | 7 | „ |
| ღორის ხორცი | | „ | „ |
| „ 2 | „ | „ | „ |


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. | „ | 15 |
| Я Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора „Русское Слово“. | „ | 50 |

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება ი. გოგებაშვილის რვეულები №№ 1, 2, 3 და 4. თითო რვეული ღირს 5 კაპეიკი. ვინც 100 ცალს იყიდის ერთად, რვეული დაეთმობა 4 კაპეიკად.

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უდნა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 27-го Октября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Грейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.